



StopCoV.ge

კორონავირუსის საქართველოში
გავრცელების პრევენცია

ადამიანის უფლებების დაცვა COVID-19-ით გამოწვეული კრიზისისას

2020

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული
ღონისძიებების ანგარიში

სარჩევი

შესავალი	5
COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი საქართველოში სიტუაციის მოკლე მიმოხილვა	8
საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტები	10
სამართლებრივი ასპექტები და კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა	14
პანდემიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	17
COVID-19-თან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და პერსონალური მონაცემების დაცვა	20
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვა	23
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	27
ბავშვების უფლებები	30
ეთნიკურ, რელიგიურ, სექსუალურ უმცირესობათა უფლებები.....	33
ხანდაზმულთა უფლებები	35
პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებები	37
ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებები	38
საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი მოქალაქეების უფლებები.....	39
საქართველოში მყოფი ლტოლვილების და თავშესაფარის მაძიებლების უფლებები	41
დასკვნა.....	42



StopCoV.ge

კორონავირუსის საქართველოში
გავრცელების პრევენცია



აბრევიატურები

COVID-19	კორონავირუსული დაავადება - 19
CDC	დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ამერიკული ცენტრები
COE	ევროპის საბჭო
ECDC	დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპის ცენტრი
EDF	ევროპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფორუმი
NCDC	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
OHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
SARS-CoV-2	მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსი - 2 (ახალი კორონავირუსი)
UNDP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
შშმკ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
ჯანმო	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

შესავალი

“ნებისმიერი მიმართულებით წარმატება დაკარგავს აზრს, თუ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი არ შევინარჩუნეთ.”

გიორგი გახარია,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ყველაფერი, რასაც მსოფლიო აკეთებს პანდემიასთან საბრძოლველად, ადამიანის და მისი უფლებების დაცვას ემსახურება. უპრეცედენტო მსოფლიო კრიზისმა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, გამოაჩინა რა ის რისკები და საფრთხეები, რაც ვირუსმა ჩვენს ყოველდღიურობაში შექმნა.

სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება და მისი დაცვა COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისზე პასუხის ცენტრალური ნაწილი და უმთავრესი ღირებულებაა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მსოფლიო კრიზისს, რომელსაც დაერთო ეკონომიკური და სოციალურ კრიზისები, ხანგრძლივი გავლენა ექნება როგორც მსოფლიო ეკონომიკებზე, ასე ინდივიდებსა და საზოგადოებებზე. შესაბამისად, ეკონომიკის გადარჩენასთან ერთად მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ ადამიანის უფლებების დაცვაზე როგორც კრიზისის დროს, ისე მის შემდგომ.

პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ჯგუფებზე, რომლებიც კრიზისამდეც მოწყვლადები იყვნენ; COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის შედეგად კი მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, უფრო გართულდა.

მოცემული ანგარიში აღწერს საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს COVID-19-ით გამოწვეული კრიზისისას ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. საქართველოს მთავრობის მიერ დამატებითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ასევე წარდგენილია სამთავრობო ანგარიშში „კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები.“¹

მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის

¹ სამთავრობო ანგარიში „კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები“, 3 ივნისი 2020, იხილეთ <https://bit.ly/2ZfaUX8>

გადასარჩენად. სწორედ სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვას ემსახურებოდა მთავრობის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ არ იქნა სრულად გამოყენებული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლით დაშვებული გადახვევები და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით, შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მხოლოდ ის უფლებები, რომელთა შეზღუდვა პირდაპირ კავშირში იყო ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვასთან.

შეზღუდვებისას დაცული იყო პროპორციულობის პრინციპი. კონკრეტული შეზღუდვის დაწესებისას გათვალისწინებული იყო, ერთი მხრივ, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე არსებული ლეგიტიმური მიზანი, ხოლო მეორე მხრივ - ლეგიტიმურ მიზანსა და მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის პროპორციულობა.

კრიზისის დაწყებისთანავე საქართველოს მთავრობა იღებდა პროაქტიულ ზომებს მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობების სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებების დასაცავად, უზრუნველყოფდა წვდომას ინფორმაციაზე, სერვისებზე, ძირითად საარსებო მხარდაჭერაზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე. მათ შორის უზრუნველყოფდა:

- COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- ყოველდღიური სამთავრობო ბრიფინგების ტრანსლაციას ჟესტური ენის გამოყენებით;
- სამოქალაქო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარულ კონსულტაციებს;
- COVID-19-თან დაკავშირებული სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით მუშაობას;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის და შესაბამისი ზომების გატარებას;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის სახელმწიფოში არსებული უფასო სერვისების უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას, მათ შორის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ფუნქციონირებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან და თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას;
- ბავშვების უფლებების დაცვას;
- ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების თემების პირველად საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობას;

- ხანდაზმული მოქალაქეებისათვის შინმშვლის სერვისების გაფართოებას;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვას;
- საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი მოქალაქეების უფლებების დაცვას; და
- საქართველოში მყოფი ლტოლვილების და თავშესაფართა მაძიებლების უფლებების დაცვას.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მოქალაქეებზე ზრუნვას დაეთმო.

დღესდღეობით, საერთაშორისო და ეროვნული პარტნიორების ჩართულობით, გრძელდება მოკლე- და გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებზე მუშაობა. იგეგმება COVID-19-ით გამოწვეული კრიზისისას ადამიანის უფლებების დაცვის სიღრმისეული ანალიზიც.

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი საქართველოში სიტუაციის მოკლე მიმოხილვა

2019 წლის დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (შემდეგში - ჩინეთი), ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) 2020 წლის 30 იანვარს ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა,² ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა.

ვირუსის დაწყებიდან დღემდე³ მსოფლიოში 210-ზე მეტი ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულია 7 273 958 ინფიცირების და 413 372 გარდაცვალების შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ს ახასიათებს გადაცემის მაღალი სიხშირე, გამოვლენილ შემთხვევებში დაავადების მიმდინარეობა სიმძიმის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია - უსიმპტომოდან ფატალურ შედეგამდე.

საქართველოს მთავრობას 2020 წლის 6 იანვარს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარედგინა ინფორმაცია ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის ჩინეთში მიმდინარე ეპიდაფეთქების შესახებ. მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად.

შესაბამისად, ყველა ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ ვირუსთან საბრძოლველად გადადგა, მიმართული იყო უპირველესად ისეთი უმნიშვნელოვანესი უფლებების დასაცავად, როგორცაა **სიცოცხლის უფლება და ჯანმრთელობის უფლება**. გარდა ამისა, მთავრობა იღებდა ღონისძიებებს ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით, რაც, თავისთავად, **მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვას** ემსახურებოდა როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში.

საქართველოში ინფიცირების პირველი შემთხვევის დადასტურების მომენტიდან მიმდინარეობს ვირუსის რეპროდუქციის მაჩვენებლისა და სხვა ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მუდმივი კონტროლი. 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით ქვეყანაში (მოსახლეობა 3.7 მლნ) დადასტურებულია COVID-19-ის 828 შემთხვევა, მათ შორის გამოჯანმრთელებული - 694, აქტიური - 121, გარდაცვლილი - 13 ადამიანი. ლეტალობის მაჩვენებელი არის - 1.57%.

² Public Health Emergency International Concern

³ მონაცემები მოცემულია 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით

ამჟამად საქართველოს მთავრობა, ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების განგრძობად სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და, ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის.

კრიზისის დაწყებისთანავე, საქართველოს მთავრობა პროაქტიულ ზომებს იღებდა მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობების სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებების დასაცავად, მათ შორის უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ბავშვების, ხანდაზმული ადამიანების, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური და სხვა უმცირესობების წვდომას ინფორმაციაზე, სერვისებზე, ძირითად საარსებო მხარდაჭერაზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე.

საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტები

პანდემიის მიმდინარეობისას ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა ევროპის საბჭო და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), წევრი სახელმწიფოებისათვის შეიმუშავეს COVID-19-ის პანდემიისას ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპები და გზამკვლევები.

2020 წლის 8 აპრილს ევროპის საბჭომ (COE) გამოაქვეყნა გზამკვლევი წევრი სახელმწიფოებისთვის „დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა COVID-19 კრიზისის ფარგლებში.“⁴

უპირველესად, დოკუმენტი სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას მოქალაქეები მომაკვდინებელი დაავადებებისაგან კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით. კრიზისის მიუხედავად, არ შეიძლება ისეთი უფლებების შეზღუდვა, როგორცაა სიცოცხლის უფლება და წამების აკრძალვა.⁵

დოკუმენტი ასევე განმარტავს, რომ სახელმწიფოების მიერ მიღებული ყველა ზომა უნდა ექვემდებარებოდეს პროპორციულობის პრინციპებს და იყოს დროში განსაზღვრული. ამ პრინციპების დაცვით, პანდემიასთან გასამკლავებლად შესაძლებელია ახალი, აქამდე არარსებული კანონების მიღება. ასევე, შესაძლებელია შეიზღუდოს ისეთი სოციალური აქტივობები, როგორცაა ქორწილები და დაკრძალვები. მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოებმა დეტალურად უნდა განსაზღვრონ შეზღუდვის მიზეზები და უზრუნველყონ, რომ შეზღუდვები იყოს პროპორციული.⁶

გზამკვლევი ასევე მიმოიხილავს მედიისა და ჟურნალისტების, განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი მაუწყებლის როლს პანდემიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში და შესაძლო დეზინფორმაციის აღკვეთაში. ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული პერსონალური მონაცემების დაცვა პანდემიის დროს. გარდა ამისა, დოკუმენტი სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვა პანდემიის მიმდინარეობისასაც.⁷

და ბოლოს, ევროპის საბჭოს გზამკვლევის თანახმად, დაწესებული შეზღუდვები და მოვალეობები უნდა ემსახურებოდეს ვირუსის პრევენციას

⁴ ევროპის საბჭო (COE), დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა COVID-19 კრიზისის ფარგლებში: გზამკვლევი წევრი სახელმწიფოებისთვის, (7 აპრილი 2020), ევროპის საბჭოს საინფორმაციო დოკუმენტი SG/Inf(2020)11.

დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/3foZveb>

⁵ იქვე

⁶ იქვე

⁷ იქვე

და ქმნიდეს ერთგვარ ბალანსს თავისუფლებებსა და პრევენცია/რეაგირებას შორის. დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია და არავინ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, განსაკუთრებით, სხვადასხვა ნიშნით მოწყვლადი ჯგუფები და ეთნიკური უმცირესობები.⁸

2020 წლის აპრილში გაერომ გამოაქვეყნა ანგარიში „ადამიანის უფლებები და COVID-19: ვიბრძვით ყველა ერთად.“⁹ და შეიმუშავა ჩარჩო დოკუმენტი COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისზე დაუყოვნებლივი სოციალურ-ეკონომიკური რეაგირებისათვის.¹⁰

ეს უკანასკნელი ამხვილებს ყურადღებას იმ პრინციპებსა და უფლებებზე, რომლებიც აუცილებელია წვერი სახელმწიფოებისათვის COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისზე დაუყოვნებლივი სოციალურ-ეკონომიკური რეაგირებისათვის.

ევროპის საბჭოს გზამკვლევის მსგავსად, გაეროს ორივე დოკუმენტი მოუწოდებს წვერ სახელმწიფოებს გამოყონ ყველა შესაძლო რესურსი, რათა დაიცვან სიცოცხლის უფლება და უზრუნველყონ თანაბარი წვდომა ჯანმრთელობის უფლებაზე, მათ შორის მიაწოდონ მოსახლეობას COVID-19-ის მკურნალობის სერვისები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.¹¹

ჩარჩო დოკუმენტი ასევე მოუწოდებს წვერ სახელმწიფოებს გაამხვილონ განსაკუთრებული ყურადღება ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე და არავინ დატოვონ ყურადღების მიღმა, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფები. მოწყვლად და დამატებითი რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებს შორის დოკუმენტი გამოყოფს ხანდაზმულ ადამიანებს, ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მიგრანტებს, ლტოლვილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, მოქალაქეობის არმქონე და უსახლკარო ადამიანებს, საპატიმრო დაწესებულებებში და სახელმწიფოს დიდი ზომის ინსტიტუციებში მყოფ ადამიანებს, უმცირესობებს, ლგბტ თემის წარმომადგენლებს, ორსულ ქალებსა და გოგოებს ან მათ, ვინც პანდემიის დროს იმშობიარა.¹²

⁸ ევროპის საბჭო (COE), დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა COVID-19 კრიზისის ფარგლებში: გზამკვლევი წვერი სახელმწიფოებისთვის, (7 აპრილი 2020), ევროპის საბჭოს საინფორმაციო დოკუმენტი SG/Inf(2020)11.

დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/3foZveb>

⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ადამიანის უფლებები და COVID-19: ვიბრძვით ყველა ერთად“, (აპრილი 2020), დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/2BNyDpo>

¹⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ჩარჩო დოკუმენტი COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისზე დაუყოვნებლივი სოციალურ-ეკონომიკური რეაგირებისათვის“, (აპრილი 2020), დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/371PZFS>

¹¹ იქვე

¹² იქვე

დოკუმენტი ხაზს უსვამს კრიზისის ყველა ეტაპზე დროულ და სანდო ინფორმაციაზე წვდომის მნიშვნელობას და სწავლის ყველა საფეხურზე განათლებაზე მისაწვდომობის აუცილებლობას.¹³

ჩარჩო დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს სოციალურ-ეკონომიკური დაცვის პრინციპებს და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს აქცენტი გააკეთონ მათზე, ვინც კრიზისისას დაკარგა სამსახური და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე; ასევე უზრუნველყოს შრომითი უფლებების დაცვა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.¹⁴

დასასრულს, დოკუმენტი განიხილავს წევრი სახელმწიფოების მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესაძლებლობას და განმარტავს, რომ, ვინაიდან საგანგებო მდგომარეობისას შესაძლებელია შეიზღუდოს ადამიანის უფლებების ნაწილი, ის უნდა იყოს საგამონაკლისო, დროებითი და გამოცხადდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი საფრთხე ეხება სრულად მთელს ერს. ასეთ შემთხვევაში, დაწესებული შეზღუდვები უნდა ეყრდნობოდეს პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს.¹⁵

რაც შეეხება სხვა საერთაშორისო პრინციპებს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია¹⁶ ითვალისწინებს კონვენციიდან გადახვევას და საგანგებო მდგომარეობის მართვის მიზნით გარკვეული უფლებების შეზღუდვას. კონკრეტულად კი, კონვენციის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ „ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის მიზნით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.“¹⁷

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“¹⁸ ასევე ითვალისწინებს გადახვევას პაქტით ნაკისრი ვალდებულებებისაგან მსგავსი დათქმით. კერძოდ კი, „საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს და რაც ოფიციალურად არის გამოცხადებული, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ

¹³ იქვე

¹⁴ იქვე

¹⁵ იქვე

¹⁶ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, ევროპის საბჭო, (1999), დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/37iKeZr>

¹⁷ იქვე

¹⁸ „საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, (1994), დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/37qApbR>

ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები შეუთავსებელი არ იქნება მათ მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრ სხვა ვალდებულებებთან და არ მოიცავს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.¹⁹

ზემოთ განხილულ დოკუმენტთა ერთობა ქმნის COVID-19-ით გამოწვეული კრიზისისას [წევრი] სახელმწიფოების მოქმედების არეალს. საქართველოს მთავრობის მიერ კრიზისის მართვის მიზნით გატარებული ღონისძიებები თანხვედრაშია ზემოაღნიშნულ საერთაშორისო პრინციპებთან და ვალდებულებებთან.

¹⁹ იქვე

სამართლებრივი ასპექტები და კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2020 წლის 21 მარტს გამოცემული დეკრეტის²⁰ საფუძველზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით („ადამიანის ძირითადი უფლებები“) გათვალისწინებული გარკვეული უფლებები და თავისუფლებები. ამასთან, დეკრეტმა მოიცვა მხოლოდ ის უფლებები და თავისუფლებები, რომელთა შეზღუდვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვისთვის. დეკრეტივე მოხდა მთელი რიგი საკითხების რეგულირების უფლებამოსილების საქართველოს მთავრობაზე დელეგირება, თუმცა მთავრობისთვის დელეგირებული უფლებამოსილების მასშტაბი, მიზნები და ფარგლები დეკრეტივე იყო განსაზღვრული.

პრეზიდენტის დეკრეტით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული შემდეგი უფლებები:

- **ადამიანის თავისუფლება** (საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი), რითაც შესაბამის ორგანოებს მიეცათ უფლება, მთავრობის მიერ დადგენილი იზოლაციის ან კარანტინის წესების დარღვევისათვის პირი იძულებით გადაეყვანათ შესაბამის დაწესებულებაში.
- **მიმოსვლის თავისუფლება** (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი), რითაც მთავრობას მიეცა უფლება, დაედგინა იზოლაციისა და კარანტინის წესები; შეჩერდა საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა, გარდა მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა; მთავრობას მიეცა უფლება, მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესით, დაერეგულირებინა საქართველოს ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა.
- **პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები** (საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი), რითაც შეჩერდა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული პაემნის უფლების მოქმედება.

²⁰ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, (მარტი 2020), დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/3haRiff>

- სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი), რითაც მთავრობას მიეცა უფლება, დადგენილებით განესაზღვრა საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები.
- საკუთრების უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი), რითაც მთავრობას მიეცა უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისათვის შეეზღუდა საკუთრების უფლება და გამოეყენებინა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები.
- შეკრების თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი), რითაც შეიზღუდა ნებისმიერი სახის შეკრება, მანიფესტაცია და ადამიანების თავშეყრა, გარდა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.
- შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი), რითაც მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ კერძო სამართლის სუბიექტებს აეკრძალათ, შეეზღუდათ ან დაევალებათ ცალკეული საქმიანობის განხორციელება ამავე დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად; მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ფიზიკური და იურიდიული პირების და საჯარო დაწესებულებების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის სპეციალური წესები; მთავრობას მიეცა უფლება, დაედგინა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესები და პირობები; მთავრობას მიეცა უფლება, მოეხდინა შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და უფლებამოსილების მქონე პირების მობილიზაცია.

გარდა ამისა, დეკრეტითვე საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიეცა უფლება, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმის დაცვის ვალდებულება, ასევე პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას გამოცხადება დაერეგულირებინა მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესით.

დეკრეტით ასევე დარეგულირდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული **სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა**. ამ წესით სხდომის გამართვის შემთხვევაში, მასში მონაწილე ყველა პირს შეეზღუდა უფლება, უარი ეთქვა დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის შესაბამისად და არაერთი ქვეყნის მსგავსად (ესტონეთი, ლატვია, მოლდოვა, რუმინეთი, სომხეთი), საგანგებო მდგომარეობისას საქართველომ აამოქმედა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლი, რაც გულისხმობს კონვენციიდან გადახვევას და, საგანგებო მდგომარეობის მართვის მიზნით, გარკვეული უფლებების შეზღუდვას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხლით დაშვებული გადახვევები სრულად არ იქნა გამოყენებული და პრეზიდენტის დეკრეტით საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მხოლოდ ის უფლებები, რომელთა **შეზღუდვა პირდაპირ კორელაციაში იყო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვასთან**.

გარდა ამისა, დაცული იყო პროპორციულობის პრინციპიც. კერძოდ, საერთაშორისო პრინციპებისა და დოკუმენტების შესაბამისად, კონკრეტული შეზღუდვის დაწესებისას გათვალისწინებული იყო, ერთი მხრივ, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე არსებული ლეგიტიმური მიზანი, ხოლო მეორე მხრივ - ლეგიტიმურ მიზანსა და მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის პროპორციულობა.

საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, სახელმწიფოს პრიორიტეტად რჩებოდა **სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა**. შესაბამისად, შეზღუდვების ძირითადი ნაწილი, განსაკუთრებით, ის, რომელიც უკავშირდებოდა ადამიანთა პირველად საჭიროებებსა და შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობების განხორციელებას, ითვალისწინებდა აუცილებელ გამონაკლისებს. მაგალითისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში გამოყენებულ იქნა მკაცრი საკარანტინო ღონისძიებები, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, ყველა სხვა მუნიციპალიტეტის მსგავსად, დაშვებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება და მეცხოველეობა/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება (ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით), ვინაიდან ეს საქმიანობები

მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

პანდემიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი („აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები“) იცავს ყველა ადამიანის **ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლებას**. ამავე სულისკვეთებას იზიარებს გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი.²¹ გარდა ამისა, COVID-19-თან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც წარმოადგენს.

ინფორმაციაზე თანაბარი წვდომისა და ყველა ჯგუფის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ გაატარა შემდეგი ღონისძიებები:

- კრიზისის დაწყებისთანავე მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით, იმართებოდა **ყოველდღიური სამთავრობო ბრიფინგები**, რომლებშიც, დარგის სპეციალისტებსა და მინისტრებთან ერთად, უშუალოდ მონაწილეობდა პრემიერ-მინისტრი. ბრიფინგებზე ჟურნალისტთა ფართო სპექტრს მუდმივად ჰქონდა კითხვების ღია ეთერში დასმის შესაძლებლობა.
- პანდემიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა დროული წვდომის უზრუნველსაყოფად, **სამთავრობო ბრიფინგების ტრანსლაცია მიმდინარეობდა შესტური ენის გამოყენებით**. საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით, **ინფორმაცია ითარგმნებოდა ეთნიკური უმცირესობების ენებზეც**.
- COVID-19-თან დაკავშირებული სპეციალური საინფორმაციო სამთავრობო ვებგვერდი **www.StopGov.ge** სრულად ხელმისაწვდომია ექვს ენაზე. კერძოდ, ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საინფორმაციო გვერდი ჩამოყალიბდა კორონავირუსით ინფიცირებულთა შესახებ სტატისტიკის პირველწყაროდ. ვებგვერდზე ასევე რეგულარულად თავსდება კორონავირუსთან დაკავშირებული სრულყოფილი და სანდო

²¹ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, (1948), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/3f9BxmX>

ინფორმაცია და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები. ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო ხასიათის ვიდეოებს დართული აქვს შესტური ენის თარგმანი.

განხორციელდა მოსახლეობის მასიური ინფორმირება SMS სისტემის გამოყენებით, რომელიც თარგმნილია ეთნიკური უმცირესობების ენებზე. ქართულის გარდა, მოკლექტესტური შეტყობინებები იგზავნებოდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

კრიზისის მიმდინარეობისას მთავრობა განგრძობადად უზრუნველყოფდა კორონავირუსთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალების თარგმნას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და მათ როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდურ გავრცელებას. იმავე ენებზე ვრცელდება ვიდეორგოლები კორონავირუსთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ. მარტიდან სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და კარდაკარ ვრცელდება სხვადასხვა სახის ბეჭდური საინფორმაციო მასალა, ჯამში 529 100 ერთეული.

რეგულარულად მიმდინარეობდა საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერა ჯანმრთელობის დაცვასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიზნით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე ონლაინრეჟიმში უტარდებოდათ ექიმ-ინფექციონისტთა კონსულტაცია.

სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თემის წარმომადგენლებთან კონსულტაციების მიზნით შეიქმნა რამდენიმე საკოორდინაციო პლატფორმა, მათ შორის ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში. დისკუსიებისას სამთავრობო წარმომადგენლები წარადგენდნენ დეტალურ ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ასევე, გასცემდნენ პასუხს თემის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს და პროაქტიულად აწოდებდნენ ინფორმაციას COVID-19-ის შესახებ. ასევე განიხილებოდა სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, შშმ პირთა, ეთნიკური, სექსუალური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა მოსაზრებები და რეკომენდაციები კონკრეტულ შეზღუდვებთან, ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებებთან დაკავშირებით.

ყოველივე ამის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებაში COVID-19-თან დაკავშირებული საკითხების ცოდნა. 2020 წლის მაისში კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებულმა COVID-19-თან დამოკიდებულების კვლევამ²² ცხადყო, რომ გამოკითხულთა 93%-ის აზრით, სოციალურ დისტანცირებას შეუძლია შეანელოს ვირუსის გავრცელება, 87% თვლის, რომ მოხუცი ადამიანები რისკჯგუფს წარმოადგენენ და მათი დაინფიცირების შანსი უფრო მაღალია; 83% პროცენტი მხარს უჭერდა გადაადგილების შეზღუდვას (ე.წ. „კომენდანტის საათი“) 21:00-დან 06:00 სთ-მდე; 78% კი ემხრობოდა საგანგებო მდგომარეობის 22 მაისამდე გაგრძელებას.

²² COVID-19 Monitor: Wave 1, (2020), საზოგადოებაში კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის (CRRC), დოკუმენტი იხ. <http://crrc.ge/ka/projects>


COVID-19-თან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და პერსონალური მონაცემების დაცვა

საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 3.7 მილიონს შეადგენს.²³ მოსახლეობის 52 პროცენტი ქალია (1.9 მლნ). 700,000-ზე მეტი მოქალაქე არის ასაკობრივი პენსიის მიმღები.²⁴ ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის დაახლოებით 13%-ია. სისტემისათვის ხილვადი შშმ პირების რაოდენობა (ოფიციალურად რეგისტრირებული) 125 000-ია. რელიგიური უმცირესობების ყველაზე დიდ ჯგუფებს განეკუთვნებიან: მუსლიმანები (10%), სომხური სამოციქულო ეკლესია (2%), კათოლიკური ეკლესია (0.5%) და ათეისტები (0.5%).²⁵

მტკიცებულებებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, სიტუაციური ანალიზისა და განსაკუთრებით მოწყვლადი ან რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დამატებითი უფლებრივი მხარდაჭერისთვის როგორც პანდემიაზე რეაგირების პოლიტიკის ნაწილი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ყოველდღიურად აგროვებს და ანალიზებს სეგრეგირებულ მონაცემებს.

კრიზისის ყველა ეტაპზე დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული ქალებსა და კაცებს შორის. 2020 წლის 11 ივნისის მონაცემებით, გაანალიზებული 800 შემთხვევიდან 410 (51%) იყო ქალი და 390 (49%) კაცი.²⁶ პირველ 270 შემთხვევამდე შეინიშნებოდა მცირედით განსხვავებული პროცენტული გადანაწილება. კერძოდ, დადასტურებულ შემთხვევათა 49% მოდიოდა ქალებზე და 51% კაცებზე. დაახლოებით 270-ე შემთხვევაზე პროცენტული მაჩვენებლები შეიცვალა.²⁷

დიაგრამა N1. COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების განაწილება სქესის მიხედვით გავრცელების თავდაპირველ ეტაპზე და 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით



²³ საქსტატი, <https://bit.ly/2UydLcf>

²⁴ სოციალური მომსახურების სააგენტო, <https://bit.ly/2UydLcf>

²⁵ საქსტატი, <https://bit.ly/2UydLcf>

²⁶ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC)

²⁷ იქვე

2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, COVID19-ის დადასტურებული შემთხვევები ასაკობრივ ჯგუფში შემდეგნაირად ნაწილდებოდა:


ცხრილი N1. COVID19-ის დადასტურებული შემთხვევების განაწილება ასაკის მიხედვით (n=800)

ასაკობრივი ჯგუფი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი (%)
0-4	19	2.4%
5-14	61	7.6%
15-19	38	4.7%
20-29	106	13.2%
30-59	412	51.5%
60-69	89	11.1%
70-79	53	6.6%
80+	22	2.7%
სულ	800	100%

2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა იყო 13. მათ შორის 8 (67%) არის ქალი, 5 (33%) - კაცი. გარდაცვლილთა საშუალო ასაკია 74 წელი, მაქსიმალური 86, ხოლო მინიმალური 45.

რაც შეეხება მონაცემების განაწილებას ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით, გავრცელების ყველა ეტაპზე დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა თითქმის თანაბრად იყო განაწილებული ქალებს და კაცებს შორის შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში. 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, მონაცემების პროცენტული მაჩვენებლები სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

დიაგრამა N2. COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების განაწილება სქესის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით (n=800)



გარდა სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა, კრიზისის მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აგრძელებდა პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით მუშაობას როგორც პრევენციის, ისე მონიტორინგისა და რეაგირების მიმართულებით.

შემუშავდა რეკომენდაციები პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე.

მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდის მიზნით, დაიწყო ახალი პროექტი - ონლაინლექციები, რომლებიც შეეხებოდა ჯანდაცვის სექტორში მონაცემთა დამუშავებას.

მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია ინსპექტორის სამსახურსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის COVID-19-ის აპლიკაციის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

საჯარო და კერძო უწყებებს გაეწიათ კონსულტაციები COVID-19-თან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.

გრძელდებოდა მოქალაქეთა განცხადებების მიღება და განხილვა, რომლებიც შეეხებოდა, მათ შორის ვირუსთან დაკავშირებული მონაცემების შეგვებას.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვა

კრიზისის მიუხედავად, სახელმწიფო განაგრძობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის და შესაბამისი ზომების გატარებას. არაერთი ქვეყნის (მაგ.: საფრანგეთი და ესპანეთი), მაგალითმა ცხადყო, რომ კრიზისისას იმატა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკმა. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებების საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა COVID-19-ის კრიზისის დროს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია და პარტნიორებთან ერთად პროაქტიულად ადასრულებდა მას კრიზისის მიმდინარეობისას.

სტრატეგია და მიმდინარე საკომუნიკაციო კამპანია, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს ქალთა და ოჯახში ძალადობის მიმართ მიუღებლობის გაზრდას, ასევე ცოდნის გაღრმავებასა და ცნობიერების ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პოტენციურ მსხვერპლებს აწვდის ინფორმაციას ძალადობის შეტყობინების ალტერნატიული გზების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კრიზისის არც ერთ ეტაპზე საქართველო არ გადასულა სრული კარანტინის რეჟიმზე. 31 მარტიდან 22 მაისამდე მოქმედებდა კომენდანტის საათი (21:00 - 06:00). შესაბამისად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეებს შეეძლოთ საცხოვრებლის დატოვება.

მიუხედავად ამისა, კრიზისის დროს შესაძლოა გართულებულიყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების შეტყობინება სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ამდენად, კრიზისის მიმდინარეობისას, სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების შეტყობინების ალტერნატიული გზების შესახებ, მაგალითად, 112-ის მობილური აპლიკაციის გამოყენებით, რომელსაც აქვს ოპერატორთან ჩატის ფუნქცია და ჩუმი განგაშის (SOS) სიგნალის დაფიქსირების შესაძლებლობა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების შეტყობინების ალტერნატიული გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის განხორციელდა მოსახლეობის მასიური ინფორმირება SMS სისტემის გამოყენებით, რომელიც თარგმნილია ეთნიკური უმცირესობების ენებზე. გარდა ამისა, ინფორმაცია განთავსდა სააფთიაქო (GPC, PSP) და სასურსათო (Carrefour, “ორი ნაბიჯი”) ქსელებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ქართულთან ერთად ინფორმაცია

გავრცელდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. დამზადდა სოციალური მედიარგოლები ტელევიზიისა და სოციალური ქსელებისთვის.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაცია განთავსდა საკარანტინო სასტუმროებში ქვეყანაში დაბრუნებული მოქალაქეებისთვის. 2020 წლის 2 ივნისის მდგომარეობით, კრიზისისას საქართველოში სულ დაბრუნდა 13 609 მოქალაქე.

კრიზისის მიმდინარეობისას, შინაგან საქმეთა სამინისტრო უწყვეტად განაგრძობდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის მონაცემებთან შედარებით კრიზისის დროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მომართვიანობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა (იხ. ცხრილი N2), შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო განსაკუთრებული ზომები, ოჯახში ძალადობის გამოვლენასა და მასზე რეაგირების მიმართულებით. მათ შორის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მიეცათ მითითება არ დაეჯარიმებინათ ის ადამიანები, ვინც აღმოჩნდნენ ქუჩაში კომენდანტის საათის დროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით.

ცხრილი N2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მომართვიანობა და რეაგირება 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით²⁸

	2019	2020
112-ის მონაცემები ოჯახურ კონფლიქტებთან/ძალადობასთან დაკავშირებით		
იანვარი	1807	1591
თებერვალი	1579	1373
მარტი	1668	1594
აპრილი	1497	1566
ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოძიების დაწყება		
იანვარი	632	521
თებერვალი	612	513
მარტი	581	517

²⁸ წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

აპრილი	447	419
ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერები		
იანვარი	876	947
თებერვალი	868	836
მარტი	953	924
აპრილი	818	786

კრიზისის მიმდინარეობისას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებოდათ სახელმწიფოში არსებული უფასო სერვისები. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) კრიზისის დაწყებისთანავე მოახდინა ქვეყანაში არსებული ათი თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის სერვისების მოდელის რესტრუქტურირება. ვირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოფილია ახალშესახლებულები მოქალაქეების დროებით განცალკევებით განთავსება. შემუშავდა თავშესაფარში/სადღეღამისო სპეციალურ დაწესებულებაში ახალი ბენეფიციარის მიღებისათვის განკუთვნილი სპეციალური კითხვარი. ამასთანავე, სერვისების ნაწილი ხორციელდება დისტანციურად. პერსონალს კი მუდმივ რეჟიმში მიეწოდება ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვის საშუალებები.

კრიზისის მიმდინარეობისას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდა ფუნქციონირებას გადაუდებელი დახმარებისა და კონსულტაციის ცხელი ხაზები. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ცხელი ხაზი - 116 006 და სახალხო დამცველის ოფისის ცხელი ხაზი - 1481.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ცხელი ხაზი მოქალაქეებს აწვდის იურიდიული, სოციალური და ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისებს 8 ენაზე. კერძოდ, ქართულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, არაბულ, სპარსულ, თურქულ და რუსულ ენებზე.

წინა წლის მონაცემებთან შედარებით, იანვარში, თებერვალსა და მარტში შეინიშნება ცხელ ხაზებზე მომართვიანობის მცირედით კლება, ხოლო აპრილში მცირედით მატება (იხ. ცხრილი N2 და ცხრილი N3).

ცხრილი N3. საკონსულტაციო ცხელი ხაზების მომართვიანობა კრიზისისას 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით

	2019	2020
116 006 საკონსულტაციო ცხელი ხაზის მომართვიანობა		
იანვარი	97	133
თებერვალი	131	135
მარტი	122	108
აპრილი	100	110
მაისი	121	128

კრიზისის მიუხედავად, სახელმწიფო აგრძელებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულთან ბრძოლას და განგრძობადად მუშაობს მის პრევენციაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად, COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, მათი სოციალური ყოველდღიურობიდან გამომდინარე, პანდემიისას შეიძლება დამატებითი რისკების ქვეშ აღმოჩნდნენ.²⁹ პანდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიცა არაერთი საერთაშორისო რეკომენდაცია სხვადასხვა აქტორისთვის. მათ შორისაა ევროპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფორუმის (EDF) დოკუმენტი,³⁰ ჯანმოს გზამკვლევი “მოსაზრებები შშმ პირთა საჭიროებებზე COVID-19-ის დროს” და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო - “ადამიანის უფლებები COVID-19-ის დროს”.³¹

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის მიზნით საქართველოს მთავრობამ კრიზისისას ყურადღება გაამახვილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერასა და თემის წევრების ჩართულობაზე პრინციპით “არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე”.

ჯანმოს, EDF-ისა და OHCHR-ის რეკომენდაციების შესაბამისად, პანდემიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე დროული წვდომის უზრუნველსაყოფად, 20 მარტიდან დღემდე მთავრობის ბრიფინგების ტრანსლაცია მიმდინარეობს ჟესტური ენის გამოყენებით. ხოლო სმენადაქვეითებული იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც არ იციან ჟესტური ენა, შშმ თემის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, ბრიფინგების დასრულებისთანავე, ტექსტი იტვირთება მთავრობის სოციალური მედიის გვერდზე. ინფორმაცია ვრცელდება ალტერნატიული ვიდეოწყაროებით, ცხელი ხაზების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ 112-ის ცხელი ხაზი აღჭურვილია ვიდეოზარის და SMS ფუნქციებით. ვებგვერდზე www.StopCov.ge საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები ატვირთულია შესაბამისი ფორმატით, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს უსინათლო პირებისათვის.

²⁹ “მოსაზრებები შშმ პირთა საჭიროებებზე COVID-19-ის დროს”, (მარტი 2020), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/2BWE31x>

³⁰ ევროპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფორუმის (EDF), დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/2zq6W5m>

³¹ „ადამიანის უფლებები COVID-19-ის დროს“, (მარტი 2020), გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი, დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/2Uyf7nl>

კრიზისის მიმდინარეობისას საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები რეგულარულად თანამშრომლობდნენ შშმ პირთა ორგანიზაციებთან და თემის წარმომადგენლებთან ინფორმაციის გავრცელებისა და არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით. ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში შეიქმნა საკომუნიკაციო პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც რეგულარულად იმართებოდა დისტანციური შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სათემო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აქტივისტების ჩართულობით. შეხვედრებისას მთავრობის წარმომადგენლები (მინისტრების მოადგილეები, მთავრობის ადმინისტრაციის, სამინისტროების წარმომადგენლები) მონაწილეებთან ერთად ანალიზებდნენ არსებულ სიტუაციას, გამოწვევებსა და მათი შესაძლო გადაჭრის გზებს (ჯანმოსა და OHCHR-ის რეკომენდაცია).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, EDF-ის და OHCHR-ის რეკომენდაციების შესაბამისად, COVID-19-ის მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ქვეყანაში მყოფი ყველა ადამიანისათვის სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის გარეშე.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გამართულად და უსაფრთხოდ მიწოდებისთვის COVID-19-ის პანდემიის პირობებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა³² სახელმძღვანელოებისა და პროტოკოლების ნაკრები “ფსიქიკური ჯანმრთელობა და COVID-19: კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი).”³³ პროტოკოლი მოიცავს როგორც ფსიქიკური ჯანდაცვის სტაციონარულ სერვისებში, ისე სტაციონარს გარეთ არსებულ სერვისებში COVID -19 პირობებში პაციენტების უსაფრთხო მართვის სახელმწიფო სტანდარტებს.

კრიზისის მიმდინარეობისას, უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდნენ მუშაობას სახელმწიფოში არსებული დიდი ზომის ინსტიტუციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) კრიზისის დაწყებისთანავე მოახდინა ქვეყანაში არსებული 3 დიდი ზომის ინსტიტუციის სერვისების მოდელის რესტრუქტურისა. სერვისების ნაწილის მიწოდება ხორციელდება დისტანციურად, პერსონალს კი მუდმივ რეჟიმში მიეწოდება ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვის საშუალებები (EDF-ის და ჯანმოს რეკომენდაცია). გარდა ამისა, ბენეფიციარების დაცვის მიზნით, დაწესდა პერსონალის გრძელვადიანი (არა ნაკლებ 7 და არა უმეტეს

³² ინიციატივა განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით

³³ “ფსიქიკური ჯანმრთელობა და COVID-19: კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი)” <https://bit.ly/2UwAaH6>

14 კალენდარული დღის ვადით) მორიგეობა, რათა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი გარეშე პირების შესვლა თავშესაფრებში (OHCHR-ის რეკომენდაცია).

კრიზისის მიმდინარეობისას შეუძლებელი გახდა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის კონკრეტული სერვისების მიწოდება, მაგ. დღის ცენტრები. თუმცა, **სერვისებმა განაგრძეს დისტანციურ რეჟიმში მუშაობა. ბავშვებთან რეგულარული კონტაქტის შენარჩუნების მიზნით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეგიონალურ/რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს მიეცათ სპეციალური მითითებები მუშაობის დისტანციურ რეჟიმთან დაკავშირებით. დღის ცენტრების ბენეფიციარებისთვის ასევე გაიცა კვების ვაუჩერები. კრიზისის მიმდინარეობისას, 2 200 ბენეფიციარისათვის მხარდაჭერის მიზნით, სულ გაიცა 4 400 ვაუჩერი. გარდა ამისა, ნაწილობრივი დაფინანსება გაუგრძელდათ ბავშვთა ადრეული განვითარების, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, დღის ცენტრებს და სხვა ქვეპროგრამებს (ჯანმოს რეკომენდაცია). საერთაშორისო პარტნიორებთან (საქართველოს წითელი ჯვარი, გაეროს განვითარების პროგრამა) თანამშრომლობით, გაფართოვდა შინ მოვლის პროგრამები, რომლებშიც გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა.**

მთავრობის ანტიკრიზისული პოლიტიკა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნულ პრინციპზეა დაფუძნებული. შესაბამისად, ანტიკრიზისული გეგმის ამოსავალი პრინციპია **არსებული შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური მოცვა, რათა სახელმწიფოს მხარდაჭერა შეძლებისდაგვარად მიიღოს ყველამ, ვინც პანდემიის შედეგად დაზარალდა.**

ანტიკრიზისული გეგმის ერთ-ერთი პირდაპირი მიზნობრივი ჯგუფი იყო მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შშმ ბავშვები. კერძოდ კი, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე შშმ ბავშვები მიიღებენ ჯამურ 600-ლარიან მხარდაჭერას, 6 თვეში. მხარდაჭერით 40 ათასამდე ადამიანი ისარგებლებს. კომპონენტის ბიუჯეტი 25 მლნ ლარია.

გარდა პირდაპირი მიზნობრივი მხარდაჭერისა, ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებმაც კრიზისის დროს დაკარგეს სამსახური ან იყვნენ გაშვებული უხელფასო შვებულებაში, კომპენსაციის სახით მიიღებენ 1200 ლარს 6 თვეში, - თვეში 200 ლარს. თვითდასაქმების

შემთხვევაში, მხარდაჭერის რაოდენობა განისაზღვრა 300 ლარით და მას ერთჯერადი ხასიათი აქვს.

ბავშვების უფლებები

კრიზისის დროს ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა განათლების მიღების უფლებაზე, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვასა და COVID-19-ით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შემსუბუქებაზე.

საქართველოს მთავრობა თანამიმდევრულად აგრძელებს მუშაობას ბავშვთა სიღარიბის შემცირებისა და აღმოფხვრისათვის. 2019 წლიდან საქართველოს მთავრობამ 100 000-ზე დაბალი ქულის მქონე ოჯახებში მცხოვრები ბავშვების დანამატი 5-ჯერ, 10 ლარიდან 50 ლარამდე გაზარდა.

ანტიკრიზისული გეგმის ერთ-ერთ პირდაპირ მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ბავშვები. კერძოდ კი, ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000 ქულის ჩათვლითაა - თითო ოჯახზე მიიღებენ საშუალოდ 600-ლარიან მხარდაჭერას, 6 თვეში. აღსანიშნავია, რომ დღეს ეს ოჯახები იღებენ მხოლოდ 16 წლამდე ბავშვებზე არსებულ სოციალურ მხარდაჭერას. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 190 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (70 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 50 მლნ ლარი.

გარდა ამისა, ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000 ქულის ფარგლებშია და ჰყავთ 3 და მეტი 16 წლამდე ასაკის შვილი, ოჯახზე მიიღებენ საშუალოდ ჯამურ 600-ლარიან მხარდაჭერას, 6 თვეში. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 130 ათასზე მეტი ფიზიკური პირია (22 ათასი ოჯახი), ხოლო ბიუჯეტი - 13 მლნ ლარი.

ანტიკრიზისული გეგმა ხელს უწყობს ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დროულ დაკმაყოფილებას, რაც, თავის მხრივ, გავლენას იქონიებს ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე.

გარდა ამისა, ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა ეს არის არაპირდაპირი მხარდაჭერა ქალების და, ზოგადად, მშობლების ეკონომიკური გაძლიერებისათვის. მშობლების მხარდასაჭერად პანდემიისას არაერთი ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, შშმ ბავშვთა მშობლების მხარდაჭერის მიზნით, განათლების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობით, დაიწყო ყოველკვირეული გადაცემა „მშობლის საათი“ რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლებს უზიარებს პრაქტიკულ რჩევებს პანდემიასთან გასამკლავებლად.

სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის გადაცემას ახლავს ჟესტური თარგმანიც.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვის და COVID-19-ის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, კრიზისის მიმდინარეობისას, ქ. თბილისში გაიხსნა საკარანტინო სივრცე, სადაც თავსდება სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ისეთი ბენეფიციარები, რომლებიც იმყოფებოდნენ მომსახურების გარეთ და დაუდგენელია მათი კონტაქტები. ამასთან, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებს, აღმზრდელებსა და მიმღებ მშობლებს მიეწოდებათ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები COVID-19-ით გამოწვეულ სტრესთან გამკლავებისა და კრიზისული მდგომარეობის დაძლევის მიზნით.³⁴ კრიზისის მიმდინარეობისას, მცირე საოჯახო ტიპის სახლები აღიჭურვა შესაბამისი სადებინფექციო და სამედიცინო საშუალებებით.^[34]

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის მიმდინარეობისას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში 4 მარტიდან შეჩერდა სასწავლო პროცესი, 14 მარტიდან დაიწყო სწავლების დისტანციური რეჟიმის ამოქმედება, ხოლო **30 მარტიდან სასწავლო პროცესი სრულად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე.**

განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ინტერნეტსა და კომპიუტერზე საყოველთაო წვდომა, **30 მარტიდან, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლობით, დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“.** პროექტი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით ტელეგაკვეთილების ჩატარებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მაისიდან ასევე დაიწყო საგანმანათლებლო პროექტის - „ვებსკოლა“ განხორციელება, რომელიც **აბიტურიენტებს სთავაზობს ვებინარებს ეროვნული გამოცდების ძირითად საგნებში.**

დისტანციური სწავლების რეჟიმის მიუხედავად **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისათვის პროფესიულ სწავლებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად,** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერი მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხორციელდებოდა რეგულარული პროფესიული მხარდაჭერისა და მონიტორინგის შეხვედრები პროფესიული

³⁴ პროექტი ხორციელდება სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“, გაეროს ბავშვთა ფონდის და ორგანიზაცია "საქართველოს ბავშვების" თანამშრომლობით

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან. აღნიშნული შეხვედრებისას, დაწესებულებების სპეციალისტების ჩართულობით შემუშავდა რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურ სწავლებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების ჩართვის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ასევე მომზადდა კითხვარი, რომელიც მიზნად ისახავს იკვლიოს, თუ რა გავლენა იქონია COVID-19-ით გამოწვეულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ სსმ სტუდენტების გადაწყვეტილებაზე მიმდინარე წელს პროფესიულ განათლებაში ჩართვასთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესს ახორციელებენ დისტანციურ რეჟიმში, სინქრონული და ასინქრონული მეთოდებით. მოხდა სასწავლო გეგმების მოდიფიცირება, გადაიხედა სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები. ასევე, განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტებმა მოახდინეს იმ სტუდენტთა იდენტიფიცირება, რომლებიც ინტერნეტსა და კომპიუტერზე წვდომის არქონის გამო დარჩნენ ელექტრონული სწავლების მიღმა. უნივერსიტეტების ნაწილმა თავად უზრუნველყო სტუდენტები ინტერნეტითა და შესაბამისი ტექნიკით. სტუდენტთა ნაწილისთვის უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული არასრულწლოვნებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პენიტენციური დაწესებულებებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით, შემუშავდა ელექტრონული რესურსებისა და ტელესკოლის გამოყენებით სასწავლო პროცესის განხორციელების ალტერნატიული ფორმები.

ეთნიკურ, რელიგიურ, სექსუალურ უმცირესობათა უფლებები

კრიზისის მიმდინარეობისას პრიორიტეტად განისაზღვრა ეთნიკურ, რელიგიურ თუ სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ინფორმაციასა და ძირითად საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კრიზისით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებისა და სოციალური უფლებების დაცვის მიზნით.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, მთავრობის ადმინისტრაციის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლობით, რეგულარულად და თანამიმდევრულად მიმდინარეობდა COVID19-ის პრევენციისა და მისგან თავის დაცვის შესახებ არსებული საინფორმაციო მასალის თარგმნა და კარდაკარ მიწოდება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები საკარანტინო ზონებად გამოცხადდა (იხ. ზემოთ “ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა”).

აღსანიშნავია, რომ საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, **სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა კვლავ რჩებოდა პრიორიტეტად.** შესაბამისად, პირველადი საჭიროებებისა და შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობების განხორციელების მიზნით, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში არსებული შეზღუდვების მიუხედავად, **დაშვებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება და მეცხოველეობა/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობა** (ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით). ეს საქმიანობები, მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

შედეგად, საგანგებო მდგომარეობის მართვის ოპერაციული შტაბის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და რელევანტური უწყებების თანამშრომლობით, **მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან, დაახლოებით 6000 ტონა ხილი და ბოსტნეული გადანაწილდა სხვადასხვა ბაზარზე და მოხდა მათი რეალიზება.**

კრიზისის მიმდინარეობისას, ინფორმაციის გავრცელებისა და არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით, პრინციპის „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“ გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები რეგულარულად თანამშრომლობდნენ უმცირესობების წარმომადგენელ ორგანიზაციებსა და აქტივისტებთან. ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში შეიქმნა საკომუნიკაციო პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც

რეგულარულად იმართებოდა დისტანციური შეხვედრები ლგბტქი+ აქტივისტებთან, სათემო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მართავდნენ რეგულარულ შეხვედრებსა და კონსულტაციებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან.

ძირითად საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, კერძო სექტორთან და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან თანამშრომლობით, **დედაქალაქსა და რეგიონებში რეგულარულად ხორციელდებოდა კამპანიური ხასიათის მხარდაჭერა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა უმცირესობებს.** მათ შორის ბოშათა თემებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს და დევნილთა ჩასახლებებს, ეთნიკურ უმცირესობებსა და ლგბტქი+ თემს. მხარდაჭერის პროცესში მონაწილეობდნენ სათემო ორგანიზაციებიც.

საერთაშორისო და ეროვნული პარტნიორების ჩართულობით, გრძელდება სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებზე მუშაობა, მათ შორის სწრაფი რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბება მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობებისთვის.

ხანდაზმულთა უფლებები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ხანდაზმული ადამიანები COVID19-ის მომატებული რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფად დაასახელა.³⁵ აქედან გამომდინარე, კრიზისის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხანდაზმული მოქალაქეების სახლში დარჩენის მოწოდებას.

31 მარტს აიკრძალა 70 წელს გადაცილებული მოქალაქეების სახლიდან გასვლა, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის ან უახლოეს სასურსათო მაღაზიაში, აფთიაქსა თუ სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილებისა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლობით, ამოქმედდა მარტოხელა ხანდაზმულ ადამიანთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გარდა, შინ მოვლის კომპონენტსაც ითვალისწინებდა.

გარდა ამისა, საჭირო მედიკამენტები ბინაზე მიეწოდებოდათ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სერვისების ნაწილის სპეციფიკური მედიკამენტების პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებს, მათ შორის ინსულინდამოკიდებულ პირებს, ასევე ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე 70 წელს გადაცილებულ და შშმ პირებს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კრიზისის მიმდინარეობისას მოამზადა და დაამტკიცა რეკომენდაციები ხანდაზმულთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს.³⁶

ანტიკრიზისული გეგმის ერთ-ერთი პირდაპირი მიზნობრივი ჯგუფია ხანდაზმული მოქალაქეები. კერძოდ კი, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის 1 ივლისიდან პენსია დამატებით 30 ლარით გაიზრდება, რომლითაც ისარგებლებს 410 ათასზე მეტი პენსიონერი. ამასთან, 2021 წლის იანვრიდან იგეგმება პენსიების ინდექსაციის წესის შემოღება, რომლის მიხედვითაც, ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა, ანუ ფასების ზრდა

³⁵ <https://bit.ly/37m1c9h>

³⁶ “რეკომენდაციები ხანდაზმულთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს”, (2020), დოკუმენტი იხ. <https://bit.ly/3dSDp3f>

გავლენას ვეღარ მოახდენს რეალური პენსიის მოცულობაზე და პენსიის ყოველწლიური ზრდა იქნება ინფლაციაზე მაღალი. მიუხედავად ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის პარამეტრებისა, პენსიის ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, ხოლო 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის - 25 ლარზე ნაკლები.

გარდა პირდაპირი მიზნობრივი მხარდაჭერისა, მოქალაქეებს დაუფინანსდათ 3 თვის კომუნალური გადასახადი - დახმარება შეეხოთ იმ აბონენტებს, რომელთა მიერ ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარება 200 კილოვატზე ნაკლებია, ხოლო ბუნებრივი აირის ყოველთვიური მოხმარება - 200 მ3-ზე ნაკლები. დაფინანსება აგრეთვე მოიცავს დასუფთავებისა და წყლის გადასახადსაც. ელექტროენერჯის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ საშუალოდ 3 თვის განმავლობაში 1.2 მილიონზე მეტი აბონენტი შეადგინა, ხოლო ბუნებრივი აირის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ საშუალოდ 3 თვის განმავლობაში - 670 ათასზე მეტი აბონენტი. პროგრამის ბიუჯეტი 170 მლნ ლარია.

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებები

COVID19-ის კრიზისის დროს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული პირების უფლებების დაცვისას გადაწყვეტილებები მიიღებოდა, ერთი მხრივ, ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე, ხოლო მეორე მხრივ, უფლებების რაც შეიძლება მცირე დოზით შეზღუდვის პრინციპზე დაყრდნობით.

COVID19 გავრცელდა არაერთი ქვეყნის პენიტენციურ დაწესებულებებში (მაგ., ამერიკის შეერთებული შტატები, ვენესუელა). საქართველოში COVID19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, 5 მარტიდან პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობები ამოქმედდა. მოცემულ პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.

გარდა ამისა, ე.წ. მიმღებ ციხეებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო შემოწმება ხორციელდება პენიტენციური დაწესებულებების შენობის გარეთ, სპეციალურად მოწყობილ დროებით სამედიცინო პუნქტებში. საექვო სიმპტომების აღმოჩენისას ბრალდებულს დაწესებულება არ იღებს და ის თავსდება სამოქალაქო სექტორის კლინიკაში.

პენიტენციური დაწესებულებების შესასვლელში მოწყობილ დროებით სამედიცინო პუნქტებში ასევე მიმდინარეობდა სისტემის თანამშრომლებისა და დაწესებულებებში ყველა შემსვლელის სამედიცინო შემოწმება, თერმოსკრინინგი და ეპიდანამნეზის შეგროვება.

ქვეყანაში ვირუსის შიდა გადაცემის დაფიქსირების შემდეგ, პენიტენციური სისტემის ვირუსის გარედან შეტანისაგან დაცვის მიზნით, პენიტენციური სისტემა ე.წ. ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა. კრიზისის მიმდინარეობისას, სისტემის 780 თანამშრომელი პენიტენციურ დაწესებულებებში იმყოფებოდა გაუსვლელად.

12 მარტიდან პრობაციონერები დროებით გათავისუფლდნენ პრობაციის ბიუროებში გამოცხადებისა და რეჟიმის ვალდებულებისაგან. პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნასთან, ასევე, სასამართლოს მიერ ჩამორთმეული უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომები ტარდებოდა დისტანციურად ვიდეოკონფერენციის საშუალებით. ეპიდემიოლოგიური ვითარების შეფასების შედეგად, 18 მაისს პრობაციის

ბიუროებში, გამოცხადების ეტაპობრივად აღდგენა დაიწყო ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებული პირებით.

შედეგად, კრიზისის მიმდინარეობისას, ქვეყნის პენიტენციურ დაწესებულებებში COVID19-ის გავრცელების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებები

კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან, მთავრობამ ნათლად განაცხადა მზადყოფნა, დახმარებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა ადამიანს. მარტის დასაწყისიდან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვისას ყურადღება ეთმობოდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაა, ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობას, და ჯანმრთელობის უფლებას. მხარდაჭერა მოიცავდა ინფორმაციის დროულად მიწოდებას, საექსპერტო ცოდნის გაზიარებას, სამედიცინო საშუალებების ადგილზე შეტანას, გადმოყვანილი პაციენტების მკურნალობას.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საინფორმაციო სამთავრობო ვებგვერდი www.StopCov.ge ითარგმნება აფხაზურ და ოსურ ენებზე, საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით, COVID-19-თან დაკავშირებული მთავრობის ბრიფინგები ასევე ითარგმნება აფხაზურ და ოსურ ენებზე. კრიზისის მიმდინარეობისას, რეგულარულად მზადდებოდა და ვრცელდებოდა საინფორმაციო ვიდეომასალა აფხაზურ და ოსურ ენებზე.

ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით, ინფექციონისტები საჭიროებისამებრ დისტანციურად გასცემდნენ რჩევებს და გამოცდილებას უზიარებდნენ ადგილზე მომუშავე ექიმებს. გარდა ამისა, აფხაზეთის რეგიონს სხვადასხვა არხით არაერთხელ გადაეცა კორონავირუსისგან თავის დაცვის სხვადასხვა სამედიცინო საშუალებები, აღჭურვილობა და ჰიგიენის ნივთები. ეს პროცესი ამ დრომდე გრძელდება.

კორონავირუსის პანდემიამდე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე სამედიცინო სერვისების მისაღებად ყოველდღიურად გადმოდიოდა ათეულობით ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის გავრცელების შემდეგ საოკუპაციო ხაზზე გადაადგილება მნიშვნელოვნად შემცირდა, პრაქტიკულად ყოველდღიურად ფიქსირდებოდა როგორც

სასწრაფო, ისე გეგმიური სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირთა ნაკადი.

ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ენგურის ხიდთან გაიხსნა საველე ჰოსპიტალი. ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ თითოეულ პაციენტს უმოწმდებოდა ცხელება და ჩივილების შესაბამისად ხდებოდა მათი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში.

ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ, რომელიც აშენდა გრძელვადიანი მიზნებისთვის, რაც, მათ შორის, **ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის გამარტივებას ემსახურება.**

ძირითად საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს გამყოფ ხაზებთან მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, მათ შორის მრავალშვილიანი ოჯახების და შშმ ბავშვების მხარდაჭერა, რასაც კამპანიური ხასიათი აქვს.

ყველა ზემოაღნიშნულ პროცესში, კრიზისის მიმდინარეობისას, საჭიროების შესაბამისად, აქტიურად ხდებოდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მოქმედი ცხელი ხაზის მექანიზმის გამოყენება. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ცხელი ხაზი აქტიურად გამოიყენებოდა პაციენტების გადმოყვანისას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი მოქალაქეების უფლებები

მსოფლიოში COVID-19-ის გლობალური პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, მთავრობებს მოუწიათ მყისიერი, რადიკალური ზომების მიღება: გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობები, რიგ შემთხვევებში კომენდატის საათი და მკაცრი, საკარანტინო პირობები. დაიკეტა საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სივრცეები. პანდემიის შედეგები საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს შეეხო.

უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ნაწილი მძიმე და მოულოდნელი სოციალური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. შესაბამისად, კრიზისის დაწყებისთანავე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვას ახორციელებდა.

საელჩობმა განახორციელეს საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი 21 237 მოქალაქის თავშესაფარსა და პირველად საარსებო საშუალებებზე (საკვები და ჰიგიენური საშუალებები) მისაწვდომობის უზრუნველყოფა. შემუშავდა ე.წ. სასურსათო ვაუჩერების დარიგების მექანიზმიც (SPAR). რეგულარულად მიმდინარეობდა განსაკუთრებული საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მქონე პირების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის ხელშეწყობა. ამასგარდა, სატელეფონი და დისტანციური კონსულტაციების საფუძველზე, ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა მოქალაქეთა ინვიდივუალური საჭიროებების გადაჭრა.

ადგილზე, სამედიცინო მომსახურებაზე შეზღუდული წვდომის გამო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი მოქალაქეებისათვის, შეიქმნა დისტანციური (online) საკონსულტაციო პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოქალაქეები პირდაპირ რეჟიმში იღებენ კვალიფიციურ კონსულტაციებს ინფექციონისტებისაგან.

2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ინფიცირების 118 შემთხვევა³⁷ დაფიქსირდა. უმრავლეს შემთხვევებში სახეზე იყო დაავადების ნაკლებად მძიმე ფორმები. COVID-19-ის ინფექციით საზღვარგარეთ გარდაიცვალა საქართველოს 16 მოქალაქე (ავსტრია - 1, ესპანეთი - 4, თურქეთი - 1, ბრიტანეთი - 2, აშშ - 5, საფრანგეთი - 2, ლატვია - 1).

მოქალაქეთა მოწყვლადი ჯგუფების საქართველოში პრიორიტეტული დაბრუნების მიზნით, შემუშავდა კრიტერიუმები, სადაც აისახა ისეთი მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა შშმ პირები, მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს, ორსული ქალები, არასრულწლოვნები, ხანდაზმულები (65+), და სტიპენდიის გარეშე დარჩენილი სტუდენტები.

ჯამში, სახელმწიფომ დააბრუნა 12 720 საქართველოს მოქალაქე, მათ შორის საჰაერო გზით - 7 107, სახმელეთო გზით - 5 223 და საზღვაო გზით - 390 ადამიანი.

დაბრუნებულთა შორისაა ქრონიკული დაავადების მქონე 483 პირი, 34 - შშმ პირი, 259 - ხანდაზმული, 102 - ორსული, 435 - მცირეწლოვანი, 173 - ონკოლოგიური პაციენტი, 1 118 - ტრანზიტული მგზავრი, 29 - მეზღვაური და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე 90 პირი. აგრეთვე,

³⁷ აღნიშნულ სტატისტიკაში შესაძლოა იყოს ცდომილება, ვინაიდან მოქალაქეების ნაწილს არ სურს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაჯაროება და არ აწვდის ინფორმაციას საკონსულო სამსახურებს. 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, საკონსულო აღრიცხვაზე იმყოფება 62 000-მდე საქართველოს მოქალაქე.

საცხოვრებლისა და სტიპენდიის გარეშე დარჩენილი 794 სტუდენტი. საერთო ჯამში მოწყვლადი ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე - 3 517 მოქალაქე.

საქართველოში მყოფი ლტოლვილების და თავშესაფარის მაძიებლების უფლებები

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისისას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინტეგრაციის ცენტრი განაგრძობდა საქართველოში მყოფი ლტოლვილების და თავშესაფარის მაძიებელთა მხარდაჭერას.

საგანგებო მდგომარეობის დაწყებისთანავე, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ინტეგრაციის ცენტრმა მუშაობა დისტანციურ რეჟიმში განაგრძო. გარდა რეგულარული ღონისძიებებისა (როგორცაა ქართული ენის და სოციალური კულტურის ცნობიერების ამაღლების შემსწავლელი კურსები), ინტეგრაციის ცენტრი პროაქტიულად ავრცელებდა ინფორმაციას COVID-19-ის პრევენციის, შეზღუდვების დაწესებისა და მათი შემსუბუქების შესახებ.

ამასგარდა, მიმდინარეობდა სატელეფონო და დისტანციური (online) კონსულტაციები ქვეყანაში მყოფი ლტოლვილების და თავშესაფარის მაძიებელთა მხარდასაჭერად.

ქვეყანაში მყოფმა ლტოლვილებმა და თავშესაფარის მაძიებელმა პირებმა ისარგებლეს ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული კომუნალური გადასახადების სუბსიდირებით და პირველ ეტაპზე დაწესებული სხვა შეღავათებით.

დასკვნა

COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის ცხოვრებასა და სახელმწიფოთა განვითარებაზე მოახდინა ზეგავლენა. პანდემია ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია. მასთან გამკლავება მთავრობების გარდა თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობასა და ჩართულობას მოითხოვს.

COVID-19-თან ბრძოლის კუთხით საქართველო დღეს ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია, რასაც ადასტურებს მრავალი საერთაშორისო შეფასება.³⁸ სახელმწიფოს ძალისხმევასთან ერთად, ეს მოქალაქეთა მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის შედეგია.

დღეს არსებული ცოდნითა და დარგის ექსპერტების შეხედულებით, მაღალია ვირუსის შემოტევის, ე.წ. მეორე ტალღის ალბათობა. ინფექციას ტალღოვანი მიმდინარეობა ახასიათებს, პერიოდულად ხდება ინფიცირების შემთხვევების მატება და შემდეგ კვლავ კლება, რასაც სხვა ქვეყნების მაგალითებიც აჩვენებს.

დღეს საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ვირუსის შეკავების პოზიტიური შედეგის შენარჩუნება, რათა შეზღუდვების შემსუბუქებას ქვეყანაში ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა არ მოჰყვეს. ამ პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა, რეკომენდაციების შესრულება და წესების ზედმიწევნით დაცვა.

გარდა ამისა, გაგრძელდება პანდემიის ზეგავლენის კვლევა ცხოვრების ისეთ სფეროებზე, როგორცაა ადამიანის უფლებები, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება, ეკონომიკა და სხვ. იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, ქვეყანამ შეძლოს კრიზისიდან მინიმალური დანაკარგებით გამოსვლა, ხოლო მეორე მხრივ, მზად იყოს შესაძლო სამომავლო კრიზისებისას ადამიანის უფლებების უკეთ დაცვისათვის, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების გაძლიერებისა და კრიზისების ეფექტიანი მართვისათვის.

³⁸ „ტელეგრაფი“ საქართველოს გამოცდილების შესახებ, ხელმისაწვდომია [აქ](#); Fox News საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია [აქ](#); The Washington Times, საქართველოს წარმატებული ისტორია, ხელმისაწვდომია [აქ](#); The Foreign Policy, ქვეყნები, რომლებიც წარმატებით უმკლავდებიან პანდემიას, ხელმისაწვდომია [აქ](#); The Intelli news საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია [აქ](#); The EURACTIV's Reporting, საქართველოს წარმატებული ბრძოლა COVID-19-თან, ხელმისაწვდომია [აქ](#); The Emerging Europe - საქართველოს წარმატება ვირუსთან ბრძოლაში, ხელმისაწვდომია [აქ](#); The Daily Signal, საქართველო - ამერიკის ერთგული პარტნიორი საერთო გამოწვევებთან ბრძოლაში, ხელმისაწვდომია [აქ](#); ამერიკის წამყვანი ეპიდემიოლოგის შეფასება საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია [აქ](#); WHO-ს ხელმძღვანელის შეფასება საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია [აქ](#); WHO-ს შეფასება - საქართველო, ხელმისაწვდომია [აქ](#). დამატებით - [აქ](#); „ვაშინგტონ პოსტი“ კატარა ქვეყნების წარმატებული გამოცდილების შესახებ, ხელმისაწვდომია [აქ](#)

2020

